COVID 19 ვაქცინაციის გამოცდილება და ბავშვთა გეგმიური იმუნიზაციისადმი დამოკიდებულება საქართველოში, პოსტპანდემიურ პერიოდში

მეგი ბაბილუა

სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიზნესის, ტექნოლოგიისა და განათლების ფაკულტეტზე ჯანდაცვის პოლიტიკისა და მენეჯმენტის მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნის შესაბამისად

ჯანდაცვის პოლიტიკა და მენეჯმენტი

პროფესორი ეკატერინე პაატაშვილი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2026

განაცხადი

როგორც წარდგენილი სამაგისტრო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს პირად ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

მეგი ბაბილუა

21.06.2026

აბსტრაქტი

COVID-19 პანდემიამ მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინა საზოგადოებრივი ჯანმრთელობის მთავარ ასპექტზე, მათ შორის ვაქცინაციისადმი დამოკიდებულებასა და ნდობაზე. აღნიშნული ცვლილებების გათვალისწინებით, კვლევის მიზანი იყო პოსტპანდემიურ პერიოდში, საქართველოში, 18 წლამდე ასაკის ბავშვების მშობლებსა და კანონიერ წარმომადგენლებში COVID-19 ვაქცინაციის გამოცდილების, ვაქცინაციისადმი ნდობის, დეზინფორმაციის გავლენისა და ბავშვთა გეგმიური იმუნიზაციისადმი დამოკიდებულებისა და ქცევის შეფასება.

კვლევა განხორციელდა შერეული მეთოდის (mixed methods) გამოყენებით. რაოდენობრივ ნაწილში გამოყენებულ იქნა არაპრობაბილისტური, მიზნობრივი შერჩევის (convenience sampling) მეთოდი. ონლაინ კითხვარის საშუალებით გამოიკითხა 300 18 წლამდე ასაკის ბავშვის მშობელი და კანონიერი წარმომადგენელი, ხოლო თვისებრივი კომპონენტის ფარგლებში ჩატარდა 8 ნახევრად სტრუქტურირებული ინტერვიუ პედიატრებსა და ოჯახის ექიმებთან. მონაცემების ანალიზისთვის გამოყენებულ იქნა აღწერითი სტატისტიკა, Cronbach's Alpha, Chi-square ტესტი, Spearman-ის კორელაციური ანალიზი, Welch's ANOVA და ბინარული ლოგისტიკური რეგრესია.

კვლევის შედეგებმა აჩვენა, რომ განათლების დონეს, COVID-19 ვაქცინაციის სტატუსს, შვილების რაოდენობასა და საცხოვრებელ ადგილს, გეგმიური აცრების გადადებასთან მცირე სიძლიერის სტატისტიკურად მნიშვნელოვანი ასოციაცია ჰქონდა. ასევე, ვაქცინაციისადმი ნდობის (Vaccine Confidence) მაჩვენებელი მნიშვნელოვნად განსხვავდებოდა აცრის გადადების ჯგუფებს შორის და უფრო მაღალი იყო იმ რესპონდენტებში, რომლებმაც ბავშვისთვის გეგმიური აცრები რეკომენდებულ ვადებში ჩაატარეს. ამასთან, გამოვლინდა დადებითი კავშირი COVID-19 ვაქცინის უსაფრთხოებისადმი ნდობასა და ბავშვთა გეგმიური იმუნიზაციისადმი საერთო ნდობას შორის. COVID-19 ვაქცინის გვერდითი ეფექტების გამოცდილება, ბავშვის ასაკობრივი

ჯგუფი, ექიმისადმი ნდობა (Doctor Trust), დეზინფორმაციის (Misinformation) და COVID Spillover სკალების მაჩვენებლები სტატისტიკურად მნიშვნელოვნად არ განსხვავდებოდა ჯგუფებს შორის. მრავალფაქტორული ლოგისტიკური რეგრესიის ანალიზში დამოუკიდებლად მნიშვნელოვანი ასოციაცია შენარჩუნდა მხოლოდ შვილების რაოდენობისთვის.

თვისებრივი კვლევის შედეგებმა აჩვენა, რომ პანდემიის შემდეგ გაიზარდა მშობლების მხრიდან ვაქცინების უსაფრთხოებასთან დაკავშირებული კითხვები და ეჭვები. ინტერვიუში მონაწილე ექიმების შეფასებით, მშობლების გადაწყვეტილებებზე მნიშვნელოვან გავლენას ახდენს ინფორმაციის ხარისხი, სოციალური მედია და ექიმთან კომუნიკაციის გამოცდილება.

კვლევის შედეგები მიუთითებს, რომ ბავშვთა გეგმიური იმუნიზაციის ხელშეწყობისთვის განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს ვაქცინაციისადმი ნდობის გაძლიერებას, მშობლების ინფორმირებულობის ზრდასა და მტკიცებულებებზე დაფუძნებული კომუნიკაციის მხარდაჭერას. მიღებული მიგნებები შეიძლება გამოყენებულ იქნეს იმუნიზაციის პროგრამების დაგეგმვისა და გაუმჯობესების პროცესში. ვინაიდან, კვლევა ეფუძნება cross-sectional დიზაინს, მიღებული ასოციაციები არ უნდა განიმარტოს მიზეზ-შედეგობრივ კავშირებად.

ძირითადი საძიებო სიტყვები: COVID-19, ბავშვთა გეგმიური იმუნიზაცია, ვაქცინაციისადმი ნდობა, მშობლების დამოკიდებულება, საქართველო.

Abstract

The COVID-19 pandemic had a substantial impact on key aspects of public health, including attitudes toward vaccination and vaccine confidence. In light of these changes, the aim of this study was to assess the experience of COVID-19 vaccination, vaccine confidence, the influence of misinformation, and attitudes and behaviors toward routine childhood immunization among parents and legal guardians of children under 18 years of age in Georgia during the post-pandemic period.

The study employed a mixed-methods design. The quantitative component utilized a non-probability convenience sampling approach. Data were collected through an online questionnaire completed by 300 parents and legal guardians of children under 18 years of age. The qualitative component consisted of eight semi-structured interviews conducted with pediatricians and family physicians. Data analysis included descriptive statistics, Cronbach's alpha, the Chi-square test, Spearman's correlation analysis, Welch's ANOVA, and binary logistic regression.

The findings demonstrated that educational level, COVID-19 vaccination status, number of children, and place of residence were significantly associated with the postponement of routine childhood vaccinations, although the strength of these associations was small. In addition, Vaccine Confidence scores differed significantly between groups based on vaccination postponement and were higher among respondents who had administered routine childhood vaccinations according to the recommended schedule. A positive association was also identified between confidence in the safety of COVID-19 vaccines and overall confidence in routine childhood immunization. In contrast, experience of COVID-19 vaccine side effects, child age group, Doctor Trust, and scores on the Misinformation and COVID Spillover scales did not differ significantly between groups. In the multivariable binary logistic regression model, only the number of children remained independently associated with vaccination postponement.

The qualitative findings indicated that concerns and questions regarding vaccine safety increased among parents following the pandemic. According to participating physicians, the quality of information, social media exposure, and experiences of communication with healthcare providers substantially influenced parental decision-making regarding vaccination.

The findings suggest that strengthening vaccine confidence, improving parental awareness, and supporting evidence-based communication are essential for promoting routine childhood immunization. The results may contribute to the planning and improvement of immunization programs. As the study was based on a cross-sectional design, the observed associations should not be interpreted as causal relationships.

Keywords: COVID-19, routine childhood immunization, vaccine confidence, parental attitudes, Georgia.